გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №11(289) 2023 წ. 1-15 ივნისი ფასი 1 ლარი

1 ივნისს აღინიშნა „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე“!

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გაიმართა გასართობი ღონისძიებები: 1 საათიანი გასართობი პროგრამა: ჯამბაზი გოგო, ჯამბაზი ბიჭი, ანიმაციური ზღაპრის გმირების შოუ: მაშა, დათვი, სონიკი, საპნის ბუშტების შოუ, ენერგიული თამაშები, შეჯიბრებები, ანიმატორების X-box ცეკვები, მხიარული სტარტები, ცეკვა „გაშეშობანა,”ექსპერიმენტორიუმი”-ს შოუ სივრცე: აზოტის დიდი აფეთქება, აზოტით ბუშტების გაბერვა და გახეთქვა, აზოტიანი ბურბუშელების მომზადება, ყვავილების გაყინვა, სპილოს ხორთუმი, ეგვიპტური დამე, ცეცხლის წარმოქმნა,ქიმიური შუქნიშანი, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა საგამოფენო სივრცე; მოსწავლეახალგაზრდობის სახლის ინტელექტკლუბის წევრების დაჯილდოების ცერემონია.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით და მერის ავთანდილ გულიკაშვილის მხარდაჭერით, სოფელ უდაბნოსთან, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ, საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე ლუკას ლოცვა-კურთხევით, სოფელ უდაბნოში აღინიშნა სახალხო დღესასწაული „გარეჯობა-2023“.

გარეჯის სახალხო დღესასწაული დავით გარეჯის დიდ სამონასტრო კომპლექსთან XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იმართება. 1988 წლის შემდეგ, ეს დღესასწაული მხოლოდ ერთხელ, 1997 წელს მცირე მასშტაბით აღინიშნა. საგარეჯოს მუნიციპლიტეტის მერიის ორგანიზებით აღნიშნული დღესასწაული 2018 წლის 21 მაისს იქნა აღდგენილი, როგორც მუნიციპალიტეტის სახალხო დღესასწაული.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო: საგამოფენო სივრცეები; საბავშვო-გასართობი და სახელოვნებო სივრცეები; ფოტოგამოფენა -გარეჯობის ისტორიები“; ფოტოსტენდი; პანტომიმის მსახიობები, წარმოდგენა - „გარეჯულა“; მოძრაობის თეატრი; გიფერი და მემოგრამი; მოსასვენებელი სივრცეები; თემატური ინსტალაციები და დეკორაციები; კულინარიული შოუ და მასტერკლასები ცნობილი შეფმზარეულების მონაწილეობით (გადაცემა “მასტერ შეფის” სახეები); საჭიდაო სივრცე; ცხენოსანთა დღი; ეთნო კუთხეები; ტრადიციული ქართული კერძების მასტერკლასები და ღვინის დეგუსტაცია; სახალხო ზეიმზე მოწვეულმა სტუმრებმა მოისმინეს საკონცერტო ნომრები მოწვეული ფოლკლორული ანსამბლების - შავნაბადასა და რუსთავის შესრულებით; ასევე, ადგილობრივი უდაბნოს ანსამბლების „კასლეთილას“ და „იმედის“ სიმღერები და ცეკვები.

4 ივნისს გაიმართა სახალხო ზეიმი „გარეჯობა“

ფიქრები დავით გარეჯაზე

დაღვრილი სისხლის ფერი აქვთ კლდეებს;
მზემ ფოლადისფრად მიწა გარუჯა.
ჯმუხ სერებს მზერა გამოვადევნე
და კვლავ ვიხილე დავითგარეჯა.
როგორც ბრძოლაში დაღლილი კაცი,
დგას ჩიჩხიტურის ამაყი კოშკი.
ჟამთა სიავე ათოვს და აწვიმს,
თუმც მის სიმტკიცეს ვერცრა ჩამოშლის.
გარეჯს - სალ კლდეში განფენილ ქალაქს
რა ღვთაებრივი მოსავს სიმშვიდე.
ცდილობ, უფლის მადლს თესავდე მარად,
რომ გადარჩენილ სულებს იმკიდე.
მადლობას ვწირავთ, არ დავივიწყებთ
ბერებს - გარეჯის გრიგოლ ხანძთელებს...
ღმერთმა დალოცოს, დიდ ტრადიციებს
ვინც უფრთხილდება და კვლავ აგრძელებს!
როგორც ვარძია და უფლისციხე,
დავითგარეჯაც არის სიმბოლო --
მამა-პაპათა გეზს არ იცვლიდე,
რწმენით და შრომით უნდა იცხოვრო!!!

სანდრო უსტიაშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო თანაგრძნობასნ უცხადებს ამავე საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ლელა მარიდაშვილს დედის

ვარდიკო (ჟენია) მარიდაშვილის

გარდაცვალების გამო

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს წარსულში გამოჩენილ სპორტსმენსა და ძიუდოს მწვრთნელს ბიჭიკო მარიდაშვილს მეუღლისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ლელა მარიდაშვილს დედის

ვარდიკო (ჟენია) მარიდაშვილის

გარდაცვალების გამო

ჩვენს მუნიციპალიტეტში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

1 ივნისი, 2023 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გილაშვილი*** უძღვებოდა.

დღის წესრიგის I საკითხზე „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ“, მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსმა*** **მარინე თედიაშვილმა.**

როგორც მან აღნიშნა:

– **საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის 2023 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილების გეგმა, აგრეთვე გადასახდელების გეგმა განისაზღვრა 55848,004 ლარით ანუ დამტკიცებულ 26827,900 ლართან შედარებით 29020,104 ლარით (108 %) გაიზარდა.

ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაემატა 7444,777 ლარი, მათ შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

საქართველოს მთავრობის მიერ 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებით სულ 5464,611 ლარი, **კერძოდ, დაფინანსდა შემდეგი ძვეპროგრამები:** ***ახალი გზების მშენებლობის 2759,536 ლარით, ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია 2382,574 ლარით, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება 322,501 ლარით;*** „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულებით 668,000 ლარი; 23 იანვრის №147 განკარგულებით მიზნობრივი ტრანსფერი 574,659 ლარი მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის; 9 თებერვლის №301 განკარგულებით მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან სულ 737,507 ლარი, მათ შორის დაფინანსდა წყლის სისტემების რეაბილიტაცია 251,153 ლარით, სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 486,354 ლარით; წინა წლის ნაშთიდან განაწილდა სულ 21575,327 ლარი, მათ შორის სახელმწიფო ფონდებიდან 2629,435 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 18945,892 ლარი. ნაშთი წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 21577,540 ლარს, მიმდინარე წლის 1 აპრილის მდგომარეობით 18884,901 ლარს.

2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის ***საშემოსავლო ნაწილი შესრულდა*** 83 %–ით (გეგმა 8132,594 ლარი, ფაქტი 6757,129 ლარი).

ბიუჯეტის ***შემოსავლების*** (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით შემოსულია 6520,195 ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8132,594 ლარი) 80 % შეადგენს.

გადასახდების სახით შემოსულია 4702,419 ლარი, გეგმის 5895,400 ლარის 80 %, აქედან ქონების გადასახადი შეადგენს 128,367 ლარს, გეგმის 1034,200 ლარის 12 %-ს, მათ შორის: ფიზიკურ პირთა ქონების 174 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 104,171 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 10,384 ლარი, საწარმოთა ქონების(გარდა მიწისა) 13,638 ლარი; საქონელსა და მომსახურებაზე ანუ დამატებითი ღირებულების გადასახადი შემოვიდა 4574,052 ლარი (გეგმის 4861,200 ლარის 94 %);

გრანტების სახით მიღებულია 616,107 ლარი, გეგმის 1535,694 ლარის 40 %. მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 251,505 ლარი, აქედან 150,105 ლარი მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯი; რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია 364,602 ლარი;

სხვა შემოსავლების სახით შემოსულია 1201,669 ლარი, რაც გეგმის 701,500 ლარის 171 %-ია, მათ შორის: 1) შემოსავალი პროცენტებიდან 629,844 ლარი გეგმის 200,000 ლარის 315 %; 2) რენტა 252,543 ლარი, გეგმის 140,000 ლარის 180 %, აქედან: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 222,814 ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გაცემიდან 29,729 ლარი; 3) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 26,382 ლარი, გეგმის 24,000 ლარის 110 %, აქედან: ა)ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები 25,178 ლარი, გეგმის 21,000 ლარის 120 %, მათ შორის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის 12,273 ლარი, მშენებლობის ნებართვაზე 11,704 ლარი, სამხედრო სავალდებულო გადავადების 1,200 ლარი; ბ) არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (შემოსავალი შენობების და ნაგებობების იჯარით ან მართვაში გადაცემიდან) 1,204 ლარი, გეგმის 3,000 ლარის 40 %; 4) ჯარიმები, სანქციები და საურავები 188655 ლარი, გეგმის 137500 ლარის 137 %; 5) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 104,245 ლარი გეგმის 200,000 ლარის 52 %;

არაფინანსური აქტივების კლებიდან, კერძოდ არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან მიღებულია 236,934 ლარი, რაც წლიური გეგმის 104,000 ლარის 228 %-ია;

საგასავლო ნაწილი შესრულდა 70 %–ით (გეგმა 13483,806 ლარი, ფაქტი 9449,768 ლარი); მათ შორის, დაფინანსების მიხედვით: საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 74 %-ით (გეგმა 11086,333 ლარი, ფაქტი 8258,093 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი შესრულდა 75 %-ით (გეგმა 117,100 ლარი, ფაქტი 88,127 ლარი); სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 48 %-ით (გეგმა 2280,373 ლარი, ფაქტი – 1103,548 ლარი);

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით: ***შრომის ანაზღაურება*** 960,140 ლარი, გეგმის 1015,736 ლარის 95 %; საქონელი და მომსახურება 1544,233 ლარი, გეგმის 1876,223 ლარის 82 %; სუბსიდიები 2413,282 ლარი, გეგმის 3110,781 ლარის 78 %; გრანტები 223,483 ლარი, გეგმის 100 %; სოციალური უზრუნველყოფა 289,461 ლარი, გეგმის 354,184 ლარის 82 %; სხვა ხარჯები 506,818 ლარი, გეგმის 934,038 ლარის 54 %; არაფინანსური აქტივების ზრდა 3512,351 ლარი, გეგმის 5969,361 ლარის 59 %.

მუნიციპალიტეტის ***ბიუჯეტის ასიგნებების*** შესრულება ასეთია: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა შეადგინა სულ 1535,653 ლარი, გეგმის 1988,077 ლარის 77 %; მათ შორის საკრებულოს 336,824 ლარი, გეგმის 346,416 ლარის 97 %; მერიის 1144,866 ლარი, გეგმის 1542,642 ლარის 74 %; სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურის 53,963 ლარი გეგმის 57,800 ლარის 93 %;

ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯებმა შეადგინა სულ 3857,039 ლარი გეგმის 5826,768 ლარის 66 %, მათ შორის:

1) ***საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება*** 1398,663 ლარი გეგმის 2592,393 ლარის 54 %, აქედან, გზების მიმდინარე შეკეთება 312,056 ლარი გეგმის 474,074 ლარის 66 %; შ.პ.ს. „საგარეჯო“ 80,791 ლარი გეგმის 118,900 ლარის 68 %; ახალი გზების მშენებლობა 1004,879 ლარი გეგმის 1979,419 ლარის 51 %; საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება 937 ლარი გეგმის 20,000 ლარის 5 %;

2) **წყლის სისტემების განვითარება** 989,533 ლარი გეგმის 1246,558 ლარის 79 %; აქედან სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 844,972 ლარი გეგმის 1039,258 ლარის 81 %; ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი“ 144,561 ლარი გეგმის 207,300 ლარის 70 %;

3) **გარე განათება** 404,912 ლარი გეგმის 444,595 ლარის 91 %, მათ შორის: გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია 404,332 ლარი გეგმის 444,015 ლარის 91 %, გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა 580 ლარი გეგმის 100 %;

4)**ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია** 531,188 ლარი გეგმის 909,998 ლარის 58 %;

5)**კეთილმოწყობა** 395 ლარი გეგმის 5,150 ლარის 8 %, ეს არის საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯი;

6) **სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** 294,644 ლარი გეგმის 302,912 ლარის 97 %;

7) **სარიტუალო ღონისძიებები** 6,838 ლარი გეგმის 70,010 ლარის 10 %, ეს არის სასაფლაოების მოვლა და შემოღობვის ხარჯი;

8) **„სოფლის მხარდაჭერის“** პროგრამა 230,866 ლარი გეგმის 255,152 ლარის 90 %;

დასუფთავება და გარემოს დაცვის ხარჯებმა შეადგინა 851,481 ლარი გეგმის 1267,741 ლარის 67 %; მათ შორის:

1)დასუფთავება და ნარჩენების გატანა 341,619 ლარი გეგმის 426,483 ლარის 80 %;

2) შ.პ.ს. "სუფთა მუნიციპალიტეტი 2018" 360,929 ლარი გეგმის 568,200 ლარის 64 %;

3) მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება 148,933 ლარი გეგმის 273,058 ლარის 55 %;

განათლების ხარჯები დაფინანსებულია 1375,658 ლარით გეგმის 2142,250 ლარის, 64 %–ით; მათ შორის: 1) ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“ 1015,411 ლარით გეგმის 1214,062 ლარის 84 %;

2) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა 163,517 ლარით გეგმის 642660 ლარის 25 %;

3) ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების“ ხარჯებმა შეადგინა 41,056 ლარი გეგმის 50,300 ლარის 82 %;

4) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში 5,570 ლარი გეგმის 5,610 ლარის 99 %;

5) საჯარო სკოლების მცირე არეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა 150,104 ლარი გეგმის 229,618 ლარის 65 %;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი დაფინასებულია 1364,963 ლარით გეგმის 1677,094 ლარის 81 %, აქედან,

1) სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსდა 836,131 ლარით გეგმის 1083,622 ლარის 77 %, მათ შორის: ა(ა)იპ "საგარეჯოს №105 კომპლექსური სასპორტო სკოლა" 12,371 ლარით გეგმის 12,900 ლარის 96 %; ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანება“ 195,105 ლარით გეგმის 239,800 ლარის 81 %; ა(ა)იპ რაგბის კლუბი“ვეფხვები“ 186,094 ლარით გეგმის 196,800 ლარის 95 %; შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „საგარეჯოს გარეჯი“ 36,587 ლარით გეგმის 100,000 ლარის 37 %; სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა 12,111 ლარი გეგმის 25,000 ლარი 48 %; სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 393,863 ლარი გეგმის 509,122 ლარის 77 %;

2)კულტურის სფეროს განვითარება დაფინანსდა 508,488 ლარით გეგმის 570,335 ლარის 89 %-ით, მათ შორის: ა(ა)იპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა“ 67,380 ლარი გეგმის 77,700 ლარის 87 %; ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება 201,921 ლარი გეგმის 241,325 ლარის 84 %; კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 228,072 ლარი გეგმის 100 %; კულტურული ღონისძიებები 11,115 ლარი გეგმის 22,500 ლარის 49 %;

3)ახალგაზრდობის მხარდაჭერა 9,752 ლარი გეგმის 11,937 ლარის 82 %; 4) საგამომცემლო საქმიანობა 10,592 ლარი გეგმის 11,200 ლარის 95 %.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდა 464,974 ლარი გეგმის 581,876 ლარის 80 %, აქედან, ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსდა 40,076 ლარით გეგმის 75,487 ლარის 64 %; მათ შორის:

1) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა დაფინანსდა 34,613 ლარით გეგმის 61,925 ლარის 56 %; 2) სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია დაფინანსდა 13,463 ლარით გეგმის 13,562 ლარის 99 %;

სოციალური დაცვა დაფინანსდა 416,898 ლარით გეგმის 506,389 ლარის 82 %, მათ შორის: 1)პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა 1,600 ლარით გეგმის 3,000 ლარის 53 %, დახმარება გაეწია 4 ოჯახს;

2) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 39,500 ლარით გეგმის 40,000 ლარის 99 %, დახმარება გაეწია 90 ოჯახს;

3) ბავშვთა კვების პროგრამა 2,338 ლარით გეგმის 5,000 ლარის 47 %, დახმარება გაეწია 11 ბავშვს;

4) უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა 5,700 ლარით გეგმის 6,000 ლარის 95 %, დახმარება გაეწია 19 ბავშვს;

5) შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა 8,700 ლარით გეგმის 12,500 ლარის 70 %, დახმარება გაეწია 87 ბავშვს;

6) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 11,552 ლარით გეგმის 15,000 ლარის 77 %, ფულადი დახმარება გაეწია 31 უსინათლო პირს, დაფინანსდა 1 ბენეფიციარის სარეაბილიტაციო კურსი, შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის და ბენეფიციართა ტრანსპორტით მომსახურების ხარჯები;

7) მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა 2,100 ლარი გეგმის 5,300 ლარის 40 % (7 ბენეფიციარი);

8) რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა 390 ლარი გეგმის 1,000 ლარის 39 %, (2 ბენეფიციარი);

9) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა 84,646 ლარი გეგმის 86,368 ლარის 98 %(129 ბენეფიციარი);

10) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა 61,611 ლარი გეგმის 100 % (206 ბენეფიციარი);

11) ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა 29,333 ლარი გეგმის 45,500 ლარის 64 % (55 ბენეფიციარი);

12) ბიკარბონატული ჰემოდიალიზითირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა 15,860 ლარი გეგმის 100 %(42 ბენეფიციარი);

13) ელექტრო ენერგიის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა 7,960 ლარი გეგმის 14,000 ლარის 57 %(374 ბენეფიციარი);

14) მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა 8,650 ლარი გეგმის 21,850 ლარის 40 % (87 ბენეფიციარი);

15) სოციალურად დაუცველი მოწყვლადი ჯგუფებისთვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე 17,173 ლარი გეგმის 30,000 ლარის 57 %, ეს არის სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების შეძენის ხარჯი, გადაეცათ ნოვრუზ ბაირამის დღესას-

დასასრული მე-6 გვერდზე

ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში

გიორგიწმინდის თემი

გიორგიწმინდის თემი

გიორგიწმინდის თემში შედის 3 სოფელი: გიორგიწმინდა, ანთოკი, მარიამჯვარი და ერთი დასახლება – ქვემო სამგორის.

თემის მოსახლეობა: 2700 კაცი, კომლი – 720.

მიწის ფართობი: 4877ჰა.

აქედან:

კერძო – 1911ჰა

მუნიციპალური – 33ჰა

სახელმწიფო – 2933ჰა

სასოფლო-სამეურნეო მიწები:

სულ – 3900ჰა

აქედან:

კერძო – 1911ჰა

მუნიციპალური – 33ჰა

სახელმწიფო – 1956ჰა

სახნავ-სათესი სულ – 2423ჰა

აქედან

კერძო – 1700ჰა

სახელმწიფო 723ჰა

სათიბი – სულ 0

საძოფარი სულ – 925ჰა

აქედან:

კერძო – 155ჰა

მუნიციპალური – 33ჰა

სახელმწიფო – 737ჰა

მრავალწლიანი ნარგავები სულ – 552ჰა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი გიორგიწმინდის თემში – **გიორგი ჭიაბერაშვილი.**

დაიბადა 1985 წელს.

განათლება – უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ტექნიკური ფაკულტეტი, პროფესია – აუდიტი (2002-2008წწ)

სამუშაო გამოცდილება: 2013 წლის 3 იანვრიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელია გიორგიწმინდის თემში.

ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

სოფელ გიორგიწმინდის ისტორია

წერილობით წყაროებში სოფელი პირველად XIV საუკუნეში იხსენიება. იგი დავით გარეჯის მონასტერს ეკუთვნოდა. თემურ ლენგის მრავალგზის შემოსევების შედეგად დავით გარეჯის სამონასტრო ცხოვრება მოიშალა და მისი კუთვნილი სოფლები, მათ შორის გიორგიწმინდაც, საქართველოს მეფემ ალექსანდრე I-მა დიდმა – 1424 წელს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ეკლესიას შესწირა. 1589 წელს გიორგიწმინდა კვლავ დავით გარეჯს დაუბრუნდა. მოგვიანებით აქ მამულები თოხლიაურელმა თავადებმა ჩერქეზიშვილებმა შეიძინეს. XVIII საუკუნეში სოფელში თავისი ყმა ხელოსნები ჰყავდა სამეფო კარს. ერეკლე II-ის ბრძანებით გიორგიწმინდაში სამშენებლო სამუშაოები უწარმოებიათ. ამას მოწმობს სოფელში მდგარი ერთ-ერთი კოშკის შესასვლელი თავზე ამოკვეთილი წარწერა.

ამჟამინდელი გიორგიწმინდა უბნებად არის დაყოფილი. უბნების სახელწოდება აქ მცხოვრები ძირითადი გვარებიდან მომდინარეობს: გულისაანი, დიღმელაანი, კვლიაანი, მარიდაანი, მეკოკიაანი, ჭიაბერაანი.

გიორგიწმინდის მეურნეობაში წამყვანია მიწათმოქმედება, ჭარბობს მემინდვრეობა, უმთავრესად ითესება ხორბალი, სიმინდი.

მისდევენ მევენახეობასაც. მეცხოველეობაში ჭარბობს მსხვილფეხა, რქოსანი საქონელი. ცხვარი ადრე შეძლებულ კომლებს ჰყავდათ.

სოფელში გავრცელებული გვარებია: გულისაშვილი, ბეჟიაშვილი, ჭიაბერაშვილი, ხოსიტაშვილი, ქვრივიშვილი, მეკოკიშვილი, დიღმელაშვილი, კვლიშვილი, ნაცვლიშვილი, ღრეული.

სოფლის საამაყო შვილები

ნიკოლოზ ოქრომჯედლიშვილი

დაიბადა 1863 წელს. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და კიევის სასულიერო აკადემია. იყო ქაშვეთის ეკლესიის დეკანოზი. პენსიაზე გასვლის შემდეგ მოღვაწეობდა გიორგიწმინდის დვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში, მკურნალობდა ფსორიაზით დაავადებულ ადამიანებს, იყო ხელმარჯვე ოსტატი, რის გამოც *კათოლიკოსმა კალისტრატე ცინცაძემ* „ჯადო ხელისმქონე“ დაარქვა და ბოლოს „ჯადომდვდლის“ სახელით იყო.

ზაქარია გულისაშვილი – მწერალი, მასწავლებელი.

ვასილ ზაქარიას ძე გულისაშვილი – მეტყევე მეცნიერი, აკადემიკოსი, მისი თაოსნობით დაარსდა სატყეო ინსტიტუტი.

ალექსი გულისაშვილი – ნინოწმინდის საკათედრო ტაძრის დეკანოზი.

არჩილ გულისაშვილი – პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, მონაწილეობდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსებაში.

იერემია გულისაშვილი – მასწავლებელი, სოფელში წიგნსაცავ-სამკითხველოს დამაარსებელი. 1919 წელს დაარსა I საშუალო სკოლა (საგარეჯოს II საჯარო სკოლის ადგილზე). მან უამრავი ხატი და წერილობითი ნამუშევრები გადაარჩინა ნინოწმინდასა და დავით გარეჯის მონასტრებიდან.

სოლომონ გულისაშვილი – პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. მისი რედაქტორობით პირველად გამოვიდა ქართულ ენაზე გეოგრაფიული ატლასი და დედამიწის ნახევარსფეროების რუკა.

ნინო კვლიშვილი – 8-წლიანი სკოლის დირექტორი, რომლის ხელმძღვანელობითაც აშენდა სკოლის კეთილმოწყობილი, ახალი შენობა (1978წ)

კარლო კვლიშვილი – პოეტი, პედაგოგი

ნუგზარ ჭიაბერაშვილი– საქართველოში ელიტარული ჟურნალის „ქართული ელიტა“-ს გამომცემელი და მთავარი რედაქტორი.

გიორგიწმინდისა და საქართველოს სიამაყე – ბეჭდაუდებელი მოჭიდავე ***არსენა მეკოკიშვილი,*** რომელსაც ჩვენი ნგაზეთის მკითხველის წინაშე წარდგენა არც სჭირდება.

ინფრასტრუქტურა

2021 წელს

ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანდა:

გარე განათების (12615 ლარი), სანიაღვრე არხებისა და ლითონის ცხაურების (11096 ლარი) მოწყობის სამუშაოები.

რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით მოხდა :

ჭაბურღილების შემკრები რეზერვუარების და სატუმბი სადგურის მოწყობა (1400000 ლარი).

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული იყო:

საჭიდაო მოედნის მოწყობა (25000 ლარი.

2022 წელს

ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანდა:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის რეაბილიტაცია (258898 ლარი).

არსებული მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია (40887 ლარი).

სპორტული დარბაზის სტიქიის მიერ დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოები (27687 ლარი)

სკვერთან მისასვლელი გზის (ე.წ. „გუგუტიანთ უბანი“) მოსფალტების სამუშაოები (356356ლარი).

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით დაფინანდა

სპორტდარბაზის ეზოს შემოღობვის სამუშაოები (20000 ლარი.

2023 წელს

დაგეგმილია სკვერის გაკეთება.

სულ მალე დაიწყება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება.

<u>სოფელი ანთოკი</u>

კომლი – 30

მოსახლეობა – 140

არქეოლოგიური მასალებით მტკიცდება, რომ სოფლის ტერიტორია ადამიანის საცხოვრისს უძველესი დროიდან წარმოადგენდა. ბუნებრივი პირობები აქ ხელს უწყობდა მევენახეობის, მემინვრეობის, განსაკუთრებით მეცხოველეობის განვითარებას.

საქართველოს ერთიანობის ხანაში ანთოკი საკათალიკოსო სოფელია. ასეთად ჩანს იგი მომდევნო ხანებშიც. სიგელ-გუჯრებში ხაზგასმულია, რომ ანთოკზე კათოლიკოსის გარდა, „სხვას არავის ხელი არა აქვს“ XVII საუკუნეში, მტრის გამუდმებული შემოსევების შედეგად, სოფელი გაპარტახებულა და მოსახლეობაც საგრძნობლად შეთხელებულა. მოგვიანებით ანთოკის მოსახლეობა თიანეთიდან ჩამოსახლებულების ხარჯზე, კვლავ გაზრდილა. XVII-XVIII საუკუნეებში სოფელი რუსთავის სადროშოში შედიოდა და ბრძოლის დროს რუსთაველი ეპისკოპოსის დროშის ქვეშ დგებოდა.

საბჭოთა პერიოდში ანთოკი გაერთიანებული იყო გიორგიწმინდის სარძეოსასაქონლო მეურნეობაში. აქ ფუნქციონირებდა ფერმა-ქარხანა, რომელიც რძის პროდუქციას უშვებდა. სოფელში ამჟამად წამყვანი დარგებია მეცხოველეობა და მეფრინველეობა

სოფელ ანთოკში არქიტექტურულ ძეგლებს წარმოადგენს მარანი და საცხოვრებელი სახლი. მარანი პაპუნაშვილებს ეკუთვნოდა და XIX საუკუნეშია აგებული. საცხოვრებელი სახლი კი – გოცირიძეებს. სახლი აგებულია XX საუკუნის დასაწყისში რაჭველი ხელოსნების მიერ. სოფელში შუა საუკუნეების ღვთისმშობლის ეკლესიაა, ასევე, წმინდა გიორგის, წმინდა კვირიკეს სახელობის ეკლესიები. სოფლის აღმოსავლეთით ტყით დაფარულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა სამაროვანი, სადაც აღმოჩნდა ძვ. წ. აღ. XIII საუკუნის სატევარი.



ანთოკის მოსახლეობა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში მეთუნეობას მისდევდა. აქ მოპოვებული თიხისაგან ისინი დოქებს, კოკებს, ქვევრებს აკეთებდნენ. შემდეგ კი, თანდათანობით მიივიწყეს, თუმცა, დღეს არიან თიხაზე მუშაობის მსურველები. თბილისიდან 10 წლის წინ სოფელში ჩამოსულმა თოიძის სასწავლებლის კურსდამთავრებულმა, კერამიკოსმა ზინა ტაბატაძემ შვილთან – გიორგისთან ერთად



აქ კერამიკაზე მუშაობა გააგრძელა.

<u>ინფრასტრუქტურა</u>

2021 წელი

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით აქ ტრენაჟორების მოწყობა სოფელ მარიამჯვართან ერთად (გაერთიანებული) – 23317,06 ლარი.

<u>სოფელი მარიამჯვარი</u>

სოფელში მაცხოვრებლებს მამისაშვილების ნაეკლესიარზე თვითნებურად თანამედროვე სტანდარტების წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. სოფლის ჩრდილოეთით მდებარეობს წმინდა მარინეს სახელობის ეკლესია, რომელიც გვიანდელ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. აქაც გასული საუკუნის 80-იანი წლებში ადგილობრივმა მოსახლეობამ თვითნებურად გაუკეთა რესტავრირება და თანამედროვე სტანდარტებით დაამახინჯა ეს ნაგებობაც.

კომლი – 12

მოსახლეობა – 40

2021 წელი

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით აქ ტრენაჟორების მოწყობა სოფელ ანთოკთან ერთად (გაერთიანებული) – 20000 ლარი.

2022 წელი – გარეგანათების მოწყობა – 10000 ლარი

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული:

2022 წელი

სასმელი წყლის სატუმბი სადგურის, რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოები (519410 ლარი).

2023 წელი

სოფელში კეთდება სტადიონი.

ქვემო სამგორის დასახლება

ეს დასახლება გასული საუკუნის 60-იან წლებში განაშენიანდა, როცა ქვემო სამგორის სარწყავი არხის მშენებლობისათვის პროფესიონალი ადამიანები და მუშახელი ესაჭიროებოდათ.

<u>განათლება</u>

<u>გიორგიწმინდის საჯარო სკოლა</u>

1853 წელს გიორგიწმინდაში გაიხსნა ე.წ. დაბალი ტიპის სკოლა. ამ სკოლის წარმატებულ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1873 წელს გიორგიწმინდაში დაბადებული, შემდეგ კი სოფელში არსებული მარიამ ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მოძღვარი ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი, რომელიც სამკურნალო ბალახების მცოდნე და ბალახებით მკურნალი პიროვნება იყო.

1880-1881 წლებში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ილია ჭავჭავაძის, იონა მეუნარ-

<u>გაგრძელება მე-4 გვერდზე</u>

ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში

გიორგიწმინდის თემი

<u>გაგრძელება</u>

გიას და იაკობ გოგებაშვილის ინიციატივით საქართველოს 56 სოფლის სკოლას წიგნებითა და სასწავლო ნივთებით დაეხმარა. მათ შორის იყო სოფელ გიორგიწმინდის სკოლაც. 1908 წლის 23 სექტემბერს გიორგიწმინდაში არსებული სკოლის მასწავლებლად ირაკლი პორფირის ძე ჭიპაშვილი დაინიშნა. 1908 წლის 2 ოქტომბერს იაკობ სოლომონის ძე ღულაძის თავმჯდომარეობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომაზე გიორგიწმინდასა და საგარეჯოში სკოლების გახსნა გადაწყდა. 1908 წლის 28 დეკემბერს არისტოფანე რამინაშვილი გიორგიწმინდის სკოლის მასწავლებლად დანიშნეს. 1909 წელს არისტოფანე რამინაშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას თვალსაჩინოებისათვის მწერლების, ამასთან ფრინველებისა და ცხოველების სურათების გაგზავნის თხოვნით მიმართა.

ამჟამად მოქმედი გიორგიწმინდის საჯარო სკოლის (***მენეჯერი მერი ჭიაბერაშვილი***) შენობა 1977 წელს აშენდა, ამჯერად საშუალო სკოლის სტატუსით. აქ ზარი 1978 წელს დაირეკა. მანამდე სკოლა 8 წლიანი სკოლის სტატუსით იყო.

სკოლის შენობა საქართველოში არსებული სკოლების შენობათაგან განსხვავებული არქიტექტურული წყობისაა. ოთხ შენობას შორის დარჩენილი ღია სივრცე ბაღის ლამაზ ნარგაობებს აქვს დაპყრობილი. შენობას შიდა მხარეს ღია აივნები აქვს, რომელიც დერეფნის მოვალეობასაც ასრულებს.

როგორც სკოლის მენეჯერმა ქ-ნმა მერიმ გვითხრა:

– სკოლის შენობაში 20 საკლასო ოთახი, ფიზიკის, ბიოლოგიის კლას-ლაბორატორიებია განლაგებული. სკოლაში 14 საფინანსო კლასია 269 მოსწავლით. მათგან 2 საფინანსო კლასში პირველკლასელია 33, რომელთა პედაგოგია ეკა ფილაური და ხათუნა მათიაშვილი. მეთორმეტეში 20 მოსწავლეა. მათი დამრიგებელი პედაგოგი ნანა მჭედლიშვილია.

გასულ წელს სკოლა ოთხმა მედალონანმა დაამთავრა. სკოლის სახელს არც ახლა არცხვენენ სკოლის კურსდამთავრებულები. ასე, მაგალითად, ***მარიამ გუგუტიშვილი*** 100%-იანი გრანტით თბილისის ილიას სახელობის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, რომელიც ამასთან ერთად, კომპანია „გალფის“ სტიპენდიანტიცაა, ***ანუკი მეკოკიშვილი*** – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ელექტრო და კომპიუტერული ინჟინრის სტუდენტი, „სმარტ აკადემიის“ ლექტორი, GDG Tbilisi (გუგლის დეველოპერების ჯგუფის) თბილისის cvapte-ის მთავარი ორგანიზატორი, WT (Women Texmalers) ამბსადორი და ნიკოლა ტესლას სკოლის მასწავლებელი, ***ზუკა მეკოკიშვილი*** – თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი, ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიანტი, ***ნუცა კობახიძე*** – კოლუმბიის უნივერსიტეტის მაგისტრატურადამთავრებული, ამჟამად არის ჰონკონგის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.



გიორგიწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლეთა სწავლის საპატიო საქმეს 25 სერტიფიცირებული პედაგოგი ემსახურება, საიდანაც 6 წამყვანი პედაგოგია.

სკოლა მომავალი სასწავლო წლის სექტემბრიდან 35 პირველკლასელს ელოდება.

მაისის ბოლოს სკოლა მომავალმა პირველკლასელებმა ინტერესით დაათვალიერეს.

სკოლაში არსებული სპორტული დარბაზი კეთილმოწყობილია, სადაც სპორტის მასწავლებელი ***მამუკა ბილანიშვილი*** მოსწავლეებსსაქართველოს და მსოფლიო მკლავჭიდელ ჩემპიონებს ზრდის.

სკოლის მენეჯერი ***მერი ჭიაბერაშვილი*** 1982 წლიდან სკოლაში ინგლისურ ენას ასწავლის, 2000 წლიდან კი სკოლის მენეჯერის პოსტზეა.

<u>სპორტი</u>

გიორგიწმინდის საჭიდაო დარბაზს არაერთი შემდგომში სახელოვანი მოჭიდავე აღუზრდია. საინტერესოა ამ შენობის ისტორიაც, რომელზედაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობა ძიუდოში, „ძიუდოს პაპად“ წოდებული ბიჯიკო მარიდაშვილი გვესაუბრება:

– მართლაც საინტერესოა ამ დარბაზის მშენებლობის დაწყების ისტორია. 1979 წელს მცხეთაში ქართულ ჭიდაობაში საქართველოს პირველობა ტარდებოდა. მასში ჩვენი – საგარეჯოელი მოჭიდავეებიც იღებდნენ მონაწილეობას. გარეჯის გუნდს მე და მურთაზ ელერდაშვილი ვახლდით. ამ შეჯიბრების შემდეგ სუფრასთან მაშინდელი სოფლის მეურნეობის მინისტრი, ყოფილი მოჭიდავე, საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში შოთა ეცადაშვილიც ესწრებოდა. შოთა და მურთაზ ელერდაშვილი ერთი თაობის მოჭიდავეები იყვნენ და ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. სუფრასთან მურთაზს გადავულაპარაკე, ვთხოვოთ ბ-ნ მინისტრს – იქნებ ლეგენდარული არსენ მეკოკიშვილის სოფელში ერთი საჭიდაო დარბაზი აგვიშენოსო... იქვე, მცხეთაში, „ჰურმარილზე“ გადაწყდა ეს საკითხი. გიორგიწმინდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მაშინდელი დირექტორისგან გიორგი მარიდაშვილისგან თხოვნის წერილიც ჩავიტანეთ სამინისტროში და მინისტრმა პირობა წაგვიყენა – ერთი მეკოკიშვილის სწორი მაინც უნდა გაზარდოთ მაგ დარბაზშიო...

რადაც წინააღმდეგობას წავაწყდით სამინისტროს სამშენებლო სამსახურში – ჯერ პირუტყვის სადგომები გვაქვს გასაკეთებელიო... მაგრამ, იქაც აღმოჩნდა ჩვენი მხარდამჭერი – ხაშმელი ქოქრაშვილი და მან ჩვენი საჭიდაო დარბაზის პროექტიც და დაფინანსებაც 1980 წლისთვის „მოინიშნა“...

მშენებლობა 1980 წლის ზაფხულში დაიწყო. დარბაზი აგურითაა აშენებული. მშენებლობაში სოფლის მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას. საგარეჯოს აგურის ქარხნიდან აგური დილით ადრე შემოჰქონდათ მძღოლებს: რეზო აზნაურაშვილს, ოთარ ბასილაშვილს, ვახტანგ კეჟლიშვილს და სხვებს. ეს მძღოლები თავიანთ სამუშაო უბანზე გამოცხადებასაც ასწრებდნენ. აგურს ამწეს საშუალებით ვცლიდით და საკუთარი ხარჯებით ბევრ საქმეს ვიყავით შეჭიდებული. გიორგიწმინდელები, ვისაც სპორტი აინტერესებდა, თავს არ ზოგავდნენ,ჩემი თქმა არც სჭირდებოდათ, ისე კალატოზობდნენ, ისე მუშაობდნენ... საღამოს კი თითოეული აგურის დადებას აღვნიშნავდით სუფრასთან.

1981 წელს დარბაზის მშენებლობა დავამთავრეთ. ჭიდაობის წრეში ჩემთან ერთად ბავშვებს გიორგი (ქისეილა) დიღმელაშვილი ავარჯიშებდა. მეამაყება ვთქვა, რომ ამ ***დარბაზში აღიზარდნენ ყოფილი სსრკ-ს ჩემპიონები და პრიზიორები: ლევან ბასილაშვილი, ბადრი ბასილაშვილი, გია ხოსიტაშვილი, გიორგი და რამაზ კირაკოზაშვილები, ალექსი მირზაშვილი, ევროპის II პრიზიორი გოჩა მეკოკიშვილი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი (ჯღანა) რევაზიშვილი და ბევრი სხვა.***

ამჟამად დარბაზში მწვრთნელები არიან

გოჩა მეკოკიშვილი და ბადრი ბასილაშვილი.

გიორგიწმინდის სპორტულ დარბაზში გიორგიწმინდელი ახალგაზრდებს ***ძიუდოს სექციაში სამი მწვრთნელი:*** **გოჩა (გოდერძი) მეკოკიშვილი, ბადრი ბასილაშვილი და ლევან ჭიაბერაშვილი** ავარჯიშებენ. გიორგიწმინდელი ნორჩი ძიუდოისტები აგრძელებენ ამ სოფლის გამოჩენილი და წარმატებული მოჭიდავეების ტრადიციებს და წარმატებებს წარმატებებს უმატებენ.

მწვრთნელმა ***ბადრი ბასილაშვილმა*** გიორგიწმინდის საჭიდაო დარბაზში 2009 წლიდან დაიწყო აქაური ახალგაზრდების ძიუდოში ვარჯიში. მისი აღზრდილებიდან გასულ, 2022 წელს გარკვეულ წარმატებებს მიაღწია **ლუკა დარისპანაშვილმა,**

რომელმაც ქართულ ჭიდაობაში საქართველოს პირველობაზე ჭაბუკებში III ადგილი დაიკავა.

ასევე, მნიშვნელოვან წარმატებებს იმკის მწვრთნელ ***გოჩა (გოდერძი) მეკოკიშვილის*** მოსწავლე **დავით კევლიშვილი,** რომელმაც გასულ წელს ძიუდოში საქართველოს პირველობაში მონაწილეობისათვის მესამე ადგილი დაიკავა ჭაბუკებში, ხოლო პოლონეთში, ევროპის თასზე მონაწილეობისას, ჭაბუკებში – III ადგილი.

მწვრთნელმა **ლევან ჭიაბერაშვილმა** 2020 წლიდან დაიწყო მწვრთნელად მუშაობა და გამოცდილ მწვრთნელებთან ერთად გიორგიწმინდელ ახალგაზრდებს ახალ-ახალი წარმატებებისათვის ამზადებს.

მკლავჭიდის გუნდი „გარეჯელები“

ამავე სპორტულ დარბაზში გიორგიწმინდელ და მეზობელი სოფლების ახალგაზრდებს ერთგვარად იზიდავს ***მკლავჭიდის სექცია,*** რომელსაც მკლავჭიდელი **მამუკა ბილანიშვილი** ხელმძღვანელობს, რომელიც გუნდის წარმატებებზე გვესაუბრება:

– 2016 წლის დასაწყისში სახლში ავაწყე მკლავჭიდის მაგიდა და გავიტანე გიორგიწმინდის ჭიდაობის დარბაზში, რათა მევარჯიშა მკლავჭიდის მოყვარულებთან. 2014 წლიდან ვარ ნაკრების წევრი, მაგრამ ყოველთვის თბილისში ვერ ვახერხებდი ნაკრებში სიარულს და მინდოდა სოფელში, რაიონშიც ვარჯიშის საშუალება მქონოდა.

მაგიდის გატანიდან ერთი კვირის თავზე უკვე 100-მდე ბავშვი მოვიდა იმის სურვილით, რომ მევარჯიშებინა. ასე, სპონტანურად შეიქმნა გუნდი „გარეჯელები“, რომელიც დღეს ერთ-ერთი წარმატებული გუნდია არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს მასშტაბით. გვყავს არაერთი მსოფლიოს ჩემპიონი. მათგან უპირველესად აღვნიშნავ მოსწავლეს **გიორგი დიღმელაშვილს**, რომელიც დღეს უკვე ევროპის და მსოფლიო ჩემპიონია. ასევე, ჩვენი გამორჩეული ძმები **ბაჩო და ოთო საგინაშვილები**, რომ-

დასასრული მე-6 გვერდზე

ახლო წარსული და თანამედროვეობა

ძველი პრესის ფურცლებიდან

რატომ არ მღერის ხალხი?

სიმღერა, როგორც ხალხური პოეტური ნაწარმოების სახეობა, მუდამ დიდ როლს ასრულებდა ხალხის სულიერ ცხოვრებაში. უდიდესი ტრადიციების მქონე ქართულმა ხალხურმა მუსიკალურმა ფოლკლორმა არაერთი შედევრი შემოგვინახა, საუკუნეების ქარტეხილებს რომ გაუძლო და ახლაც თანამედროვედ ჟღერს. ბევრი ქართული მუსიკალური ქმნილება ჰიმნადაც კი იქცა და თავისი მუსიკალური ჟღერადობით მტკიცედ დაიმკვიდრა მოქალაქეობრივი უფლება. „შენ ხარ ვენახი“,„მუმლი მუხასა“, „შავლეგო“, „მრავალჟამიერი“, „ჩაკრულო“, „ლილეო“,„ოროველა“,„კრიმანჭული“, ისევე ატკბობს თანამედროვე ქართველის ყურთასმენას, როგორც წარსულ საუკუნეებში ჩვენი წინაპრების სულსა და გულს.

ისევე უკვდავია ქართული სიმღერა, როგორც ქართული ენა და თვით საქართველო.

ადამიანი მღერის მაშინ, როცა ის ბედნიერია, როცა სულსა და გულში ჩაგუბებული აქვს დიდი რწმენა მომავლისა, იგი ბედნიერია და გული უმღერის, მზადაა გულში ჩაიკრას მთელი ქვეყანა. უბედური, რწმენაწართმეული ადამიანი კი ფრთამოტეხილ ფრინველსა ჰგავს, არც საქმის კეთების გული აქვს და მუდამ ნირწამხდარია, აღრენილი, გაღიზიანებული.

ქართველი ხალხი არაერთხელ მდგარა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, მაგრამ რწმენა არასოდეს დაუკარგავს, გული არასოდეს გასტეხია, იგი მტკიცე რწმენით ებრძოდა მომხდურ მტერს და თუმცა ძალთა უთანასწორობაში, ერთს ათთან უხდებოდა ბრძოლა, ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. იგი ფიცხელ ომშიც მღეროდა და ეს სიმღერა ყოველთვის იყო შემმართებელი, ვაჟკაცური, ბრძოლისა და შრომის ჟინით გამსჭვალული. ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება ლადო ასათიანის გენიალური ლექსი – სიმღერა „სალაღობო“.

ქართული ხალხური სიმღერები თაობიდან თაობას გადაეცემოდა, როგორც განძი და თანდათან იხვეწებოდა, მდიდრდებოდა, ახალ-ახალ შედევრებად გარდაიქმნებოდა. ხალხი თვითონვე პატრონობდა ამ საგანძურს და ინახავდა, როგორც მამა-პაპათაგან ნაბოძვარ ძვირფას რელიქვიას.

ხალხი თავის სასიმღერო ხელოვნების დემონსტრირებას ახდენდა, როგორც შინაურ წრეში, ისე საჯარო თავშეყრის ადგილებში, როგორც სახალხო, ისე რელიგიურ დღესასწაულებზე, ქორწილებსა და დღეობებზე.

სიმღერას გაიგონებდით ვენახსა და ყანაში, პირუტყვის მწყემსვისას თუ გუთნეულით ხვნის დროს, მღეროდა შორეული მგზავრობიდან შინმობრუნებული მეურმე, ხარ-კამეჩსაც ახალისებდა და თვითონაც გული მიუხაროდა ცოლ-შვილში, ასევე იყო საომარი ლაშქრობების დროსაც.

ისტორიული ექსკურსისათვის შორს არ წავალ, გარეკახეთის სინამდვილიდანაც ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. გარეკახეთი ხომ ძველთაგანვე წარმოადგენდა ქართული მუსიკალური ფოლკლორის ერთ-ერთ შემოქმედთაგანს. აკი ამიტომ იყო, რომ გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან, როდესაც დაიწყო მდიდარი ქართული სასიმღერო ფოლკლორის ნიმუშების შეგროვება, იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთათვის გარეკახეთი ნამდვილ აღმოჩენად გადაიქცა.

არაერთმა გარეკახელმა სახალხო მომღერალმა მიიქცია ქართული საზოგადოების ყურადღება, ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხაშმი, კაკაბეთი, საგარეჯო, პატარძეული და სხვა სოფლები. სწორედ ამიტომ იყო, რომ გარეკახეთს სულ სხვა თვალით შეხედეს ქართული მუსიკალური ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა ლადო აღნიაშვილმა და ზაქარია ფალიაშვილმა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს სოფელ ხაშმში ნათლისმცემლის ეკლესიასთან სიმღერის დიდი ნიჭით დაჯილდოებულმა ბერმა ***გიორგი ეპიტაშვილმა*** მომღერალ-მგალობელთა გუნდი ჩამოაყალიბა, რომელმაც შორს გაითქვა სახელი. უნდა ითქვას, რომ სოფელ ხაშმს მანამდეც დიდი მუსიკალური ტრადიციები ჰქონდა, მღეროდა თითქმის მთელი სოფელი, დიდი და პატარა. განსაკუთრებით დიდი ლხინი შემოდგომით იმართებოდა, როცა სოფლის დამაშვრალნი ჭირნახულს დააბინავებდნენ.

ბერმა გიორგი ეპიტაშვილმა (მას „ჩორნა ბერსაც“ ეძახდნენ მეტსახელად) სწავლა-განათლება უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტერში მიიღო და დიდი როლი შეასრულა ხაშმის კულტურულ ცხოვრებაში. იგი ერთხანს ხაშმის დაწყებით სკოლაში მასწავლებლობდა და და ბავშვებს სიმღერა-გალობას ასწავლიდა.

„ჩორნა ბერმა“ ხაშმში გლეხი მომღერლებისაგან გუნდი ჩამოაყალიბა და ააღორძინა ქართული ხალხური სიმღერები, მის გუნდში შედიოდნენ სოფლის საუკეთესო მომღერლები: სიმონ იაგორის ძე ყვარელაშვილი, ნიკა მამულაშვილი (კუკლა), სანდრო სულთანიშვილი, ლუკა ნახუცრიშვილი, იაკოფა ხუციშვილი, ლევან მექვაბიშვილი, გოგია თევდორაშვილი (ბატიას ბიჭი), ისაკა ყირმელაშვილი, გიორგი ნახუცრიშვილი სოსია და ქიტა ყვარელაშვილები, წიკულა და სხვები.

სოფლის უხუცესი პენსიონერი მასწავლებელი სპირიდონ ქოქრაშვილი ასე იგონებს ხაშმელ მომღერალთა მოღვაწეობის ერთ მომენტს:

„ეს ამბავი 1915 წელს ,მოხდა, როდესაც აკაკი წერეთელი გარდაიცვალა და თბილისში ჩამოასვენეს, მე მაშინ თბილისში ვსწავლობდი გიმნაზიაში. გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი) ხალხში დიდი ჩოჩქოლი ატყდა, აკაკი წერეთელს მოასვენებენო. მეც გავჩერდი და ყურება დავუწყე, მალე პროცესიაც გამოჩნდა, კუბოს წინ მიუძღოდა შავ ჩოხებში გამოწყობილი, ქალამნიან მომღერალთა გუნდი სამგლოვიარო სიმღერით. ყველამ ამ გუნდს დაუწყო ყურება და რაოდენ გასაოცარი და სასიხარულო იყო ჩემთვის , როცა ამ გუნდში ჩემი სოფლის მკვიდრნი შევიცანი „ჩორნა ბერის“ წინამძღოლობით.“

„ჩორნა ბერი“ 1937 წლამდე მოღვაწეობდა ხაშმში, ხოლო შემდეგ რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მომღერალთა თვითმოქმედი გუნდი კი ხაშმში ამ ბოლო წლებამდე (საუბარია 1988 წელზე) არსებობდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეისათვის სოფელში ჩაკვდა თვითმოქმედება.

ქართულ ხალხურ მუსიკალურ ხელოვნებაში კომეტასავით გაიელვა ***სოფელ კაკაბეთის*** მკვიდრმა, გლეხმა მომღერალმა ***მიხა ჯიღაურმა***. იგი ფართო საზოგადოებრიობისათვის მხოლოდ 1927 წლიდან გახდა ცნობილი, როცა უკვე 58 წლის იყო. საქართველოს გასაბჭოების მეექვსე წლისთავზე მწერალმა ი. მჭედლიშვილმა შექმნა ქართველ მომღერალთა გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც შეიყვანა შილდელი გლეხები ლევან ასაბაშვილი (დედას ლევანა), ალექსი ელოშვილი (ოსტატი ალექსი), გრემელი მიხა ავგაროზიშვილი და კაკაბელი მიხა ჯიღაური. კონცერტში, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრში ჩატარდა, მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. მიხა ჯიღაურმა ვირტუოზული ოსტატობით შეასრულა სიმღერა „ურმული“ და „ოროველა“.

ამის შემდეგ მიხა ჯიღაურის სახელი ყველას პირზე ეკერა. მომდევნო წლებში მას ვხედავთ თავის თანამემამულეებთან ვანო და სანდრო მჭედლიშვილებთან, (ამ უკანასკნელის მეტსახელი იყო „ფრთხენელა“ და თავის ვაჟთან ერთად, მიხა ჯიღაური წარმატებით გამოდიოდა რუსთაველის სახელობის თეატრში, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში).

მეტად საინტერესო იყო მიხა ჯიღაურის გუნდის გამოსვლა მოსკოვში 1935 წელს. გუნდი ეწვია მაქსიმ გორკს მოსკოვთან ახლო მდებარე აგარაკ გორკაში. მისი შესრულებით სიმღერები მოისმინა მაქსიმ გორკთან სტუმრად მყოფმა ფრანგმა მწერალმა რომენ როლანმა. გუნდმა იმღერა კრემლში და ლენინგრადშიც.

მიხა ჯიღაურის ტრადიციები ახლაც ცოცხლობს კაკაბეთში.

არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ხალხური სიმღერის ტრადიციებს საგარეჯოში, რომელიც ყოველთვის წარმოადგენდა გარეკახეთის კულტურულ ცენტრს. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე არაერთმა საგარეჯოელმა ისახელა თავი როგორც ადგილობრივ, ისე თბილისსა და სხვა ქალაქებში, აგრეთვე სსრ კავშირსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ კონცერტებზე. საგარეჯოელთა მეხსიერებიდან არ ამოიშლება ადგილობრივი მომღერლების ***შალიკო ჯაბადარის, ვანო გილაშვილის, ნიკო საგინაშვილის, შალვა მათიაშვილის, ნიკა მამისაშვილის, ყარამან თოფაძის, მიტო ნაცვლიშვილის*** მიერ შესრულებული სიმღერები.

ახლა, როცა ვიგონებ მშობლიურ პატარძეულში გატარებულ ბავშვობის წლებს, მაგონდება როგორ მღეროდნენ უბრალო ადამიანები. თითქოს გუშინ იყო, ისე მახსოვს „აღაპაპაშვილის ზვარში“, დიდი მარნის საწნახელში საფერავის დაწურვის დროს როგორ მღეროდნენ ხელიხელგადახვეულნი, მუხლებამდე შარვალდაკაპიწებული ***ისაკა მარხვაშვილი და სოსია პარუნაშვილი, ვასო გურამაშვილი და ბაგრატ ზუკაიშვილი, ვანო მიქელაშვილიო და გიორგი პარუნაშვილი***. ახლაც ყურებში მიდგას მათი ტკბილი სიმღერა და არც არასოდეს დამავიწყდება. **სვიმანა ყუშიტაშვილის** მიერ შესრულებული სიმღერები „შირაქში ერთმა მეცხვარემ“ და „გარეკახური საჭიდაო“ უნაკლო იყო. სად დაიკარგა ის სიმღერები, რომელსაც მღეროდნენ ***ნიკა შალვაშვილი, დათა ნარიმანიშვილი, ეთერ ყუშიტაშვილი (ნუკრია), მარო სოლოდაშვილი, მარო ცხვარაიაშვილი?*** რატომ დაკარგა ლაზათი იმ სოფლურმა გართობამ ჯიღაურიანთ უბანში რომ იმართებოდა და გათენებამდე გრძელდებოდა ზაფხულის ღამეებში? ნუთუ ყველაფერი მარტო ტელევიზიამ და რადიომ წალეკა?

ერთნი ამტკიცებენ, რომ ტექნიკურმა საშუალებებმა, პროფესიონალიზმმა, ესტრადისა და ხალხური სიმღერების პროფესიონალ შემსრულებელთა საჯაროობამ და ხელმისაწვდომობამ სიმღერა დაავიწყა ხალხს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მართალი. განა ადამიანი იმისათვის მღერის, რომ სხვა გაართოს და გაახალისოს? სიმღერა ხომ ისეთივე კომპონენტია ადამიანის სულისათვის, როგორც პური და წყალი მისი ორგანიზმისათვის?

სიმღერით გამოხატავს ადამიანი უპირატესად თავის სულიერს, ფსიქოლოგიურ განწყობას და, თუ არ მღერის, მაშინ რაღაც აწუხებს.

ალ. ელერდაშვილი,
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.
გაზეთი „ივრის განთიადი“ 1988წ.

მუნიციპალიტეტში დღეს მოქმედი ანსამბლები

„კაკაბელი ბერიკაცები“

ანსამბლს, რომელსაც „ბერიკაცები“ ჰქვია, 100 წელი შეუსრულდა. დიახ, საწყისი საძირკველი ანსამბლს 1923 წელს ჩაეყარა – სოფელ კაკაბეთში. ლოტბარმა ***ივანე მჭედლიშვილმა*** აქაური გლეხების ნამღერი სიმღერების მოსმენის შემდეგ გადაწყვიტა, მათგან მომღერალთა გუნდი ჩამოეყალიბებინა. და, აი, ამ გუნდში გაერთიანდნენ : სანდრო ოთიაშვილი, იგივე „ბეგოს ბიჭი“, ***სანდრო მჭედლიშვილი, იგივე „ფრთხენელა“, მიხა ჯიღაური, გიორგი კვეზერელი, სოლომონ გალუსტოვი, შაქრო მჭედლიშვილი...*** გუნდი ჯერ რაიონში გახდა ცნობილი, შემდეგ კახეთში, თბილისში, საქართველოში... შემდეგ კი ისიც იყო საამაყო, რომ სახელმწიფო ანსამბლში მარტო კაკაბეთიდან 12 კაცი იყო წევრი. 1950-იანი წლებიდან კაკაბეთში არსებულ მომღერალთა გუნდს ექმი ელენე ქვლივიძე ჩაუდგა სათავეში და აქ უკვე წინა თაობას ტოლს არ უდებდა ***მიშა გალუსტოვი, უშანგი მასურაშვილი, ზაქრო კვეზერელი, გიორგი მჭედლიშვილი, ოთარ, ჰოვარდ, პართენა ჯიღაურები, გივი გულაღაშვილი***. გუნდი საოცარ სიმღერებს

ასრულებდა, თითქმის კახეთში, საქართველოში მივიწყებულ ქართულ, ხალხურ სიმღერებს... მაგრამ 70-იანი წლების დასაწყისში ანსამბლი დაიშალა.

1979 წელს, კაკაბეთის „წითელი ოქტომბრის “ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიორგი თულაშვილმა ანსამბლის ხელმეორედ ჩამოყალიბება და ხელმძღვანელობა საგარეჯოს სამუსიკო სკოლის პედაგოგსა და ფოლკლორულ ანსამბლ „გარეჯის“ სოლისტს ანზორ ბურჯანაძეს სთხოვა და ხელიც შეაშველათ.

გუნდს სახელი კი 1988 წელს შეურჩიეს. სუფრასთან კარგად „გახურებულ“ შუა ქეიფში, ერთმანეთს საქართველოს, კაკაბეთის სიყვარულის ფიც-მტკიცილში 28 წლის ნიკო გიგოშვილმა ბიჭებს – უშანგის, მიშას, ზაქროს, გიორგის, ოთარის, გივის, ჰოვარდის, პართენას, „შეაპარათ“, გუნდს სახელი „ბერიკაცები“ ხომ არ დავარქვათო. სიხარულის ცრემლი სწმინდეს ერთმანეთს ბერიკაცობაში შესულებმა.

დღეს „ბერიკაცებს“ ***ნიკო გიგოშვილი*** ხელმძღვანელობს. ანსამბლის წევრები: ***შოთა ბაჩოშვილი, რეზო კვერაშვილი, ბაქარ კუმელაშვილი, იგორ სორდია, გიორგი მათიაშვილი, ვარლამ ექვთიმიშვილი (86 წლის) და იური მირზაშვილი*** უდიდესი საგანძურის მფლობელები არიან. დიახ საგანძურის... მათ 40 ქართული ხალხური სიმღერის შეგროვება, შეკონვა და გახმიანება შეძლეს. მონაწილეობენ მუნიციპალიტეტისა და კახეთის მხარეში თითქმის ყველა ღონისძიებაში, ისინი ქართული ხალხური სიმღერების სურნელსა და სიდიადეს უნვენებენ მსმენელთ.

„ბერიკაცებში“ მხოლოდ 3 კაკაბელია, დანარჩენი საგარეჯოელი, ნინოწმინდელი, ყანდაურელი და მანაველები არიან, მაგრამ კაკაბელი ბერიკაცების დანატოვარ სიმღერებს ისევ კაკაბეთის მცხუნვარე მზისა და ბარაქიანი მიწის სინათლე ახლავს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩვენს მუნიციპალიტეტში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

1 ივნისი, 2023 წელი

დასასრული

წაულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის სოციალურად დაუცველ 250 მოქალაქეს;

16) მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა 4,700 ლარი გეგმის 6,200 ლარის 76 %;

17) ხანდაზმულ (95 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა 2,600 ლარი გეგმის 3,000 ლარის 87 % (9 ბენეფიციარი);

18) უპატრონო და სოცდაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა 27,500 ლარი გეგმის 100 % (19 ბენეფიციარი);

19) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 4,105 ლარი გეგმის 6,211 ლარის 66 % (19 ოჯახი);

20) უმწეოთათვის უფასო სასადილოს

79,458 ლარი, მათ შორის მიმდინარე წლის 20 იანვარს ქ. საგარეჯოში მომხდარი ტრაგედიის დამეს ცეცხლსასროლი იარაღიდან მიყენებული დაზიანებების შედეგად გარდაცვლილი პირების ოჯახების დასახმარებლად 20,000 ათასი ლარი, აგრეთვე რთულ ვითარებაში გამოჩენილი მამაცობისთვის შემთხვევის ადგილზე მისულ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების თანამშრომელების დასაჯილდოვებლად 4,500 ლარი, სოფელ გომბორში მცხოვრებ სოციალურად დაუცველი მოქალაქისთვის საცხოვრებელი კონტეინერის შესაძენად 17,452 ლარი, სოფელ უჯარმაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახის სახლის სახურავის შესაკეთებლად 20,677 ლარი, სოფელ მზისგულში ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქის საცხოვრებელი სახლის იატაკის მასალის შესაძენად 16,829 ლარი.

დაფინანსება 68,287 ლარი გეგმის 86,100 ლარის 79 % (220 ბენეფიციარი);

21) ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 2,000 ლარი გეგმის 2,500 ლარის 80 %, დახმარება გაეწია სამშობლოს დაცვისათვის ომში მონაწილე 4 ვეტერანს;

22) წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა 4,143 ლარი გეგმის 5,350 ლარის 77 %;

23) სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაფინანსება 6,000 ლარი გეგმის 100 % (6 ბენეფიციარი);

24) მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა 450 ლარი გეგმის 500 ლარის 90 %.

მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდიდან გამოიყო ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 338,543 ლარი, შესრულდა 79 %-ით ანუ 268,556 ლარით.

დღის წესრიგის ***მეორე საკითხზე*** „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ იურიდიული პირის „საგარეჯოს სკოლამდელდაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის ელზა გილაშვილის 2022 წლის წლიური ანგარიშის მოსმენის შესახებ“. მომხსენებელი შეეხო იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა მოგვარება-განხორციელებამ მნიშვნელოვანი მუხტი შეიტანამუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 30-ვე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სწავლა-აღზრდის წინაშე ყოველწლიურად ახალ-ახალი, მზარდი გამოწვევების მიღებისა და მომავლის გეგმების სწორად დასახვაში (ინტერვიუ მომავალ ნომერში).

დღის წესრიგის III საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის **სალომე ჯაბადარის** 2022 წლის წლიური ანგარიშის მოსმენის შესახებ ინტერვიუ მომავალ ნომერში).

ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში

გიორგიწმინდის თემი

დასასრული

ლებიც გამორჩეულად ძლიერი სპორტსმენები არიან. **ბაჩო საგინაშვილი** არის მსოფლიო მკლავჭიდის ადმოჩენა, რომელიც ჯერ მხოლოდ 18 წლის არის და უკვე ევროპის და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია და ასევე, წელს მიიწვიეს თურქეთში გამართულ პროფესიონალურ შეჯიბრში, სადაც უშანსოდ დაამარცხა ამერიკელი ადამ ფავრზინსკი. აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრზე ბაჩოსთან ერთად მონაწილეობდნენ მსოფლიოს მკლავჭიდის ვარ-

სკვლავები: წარმოშობით ჩვენი თანამემამულე ლევან საგინაშვილი, დევონ ლარატი, ჯონ ბრზენსკი და კიდევ ბევრი ვარსკვლავი, რაც საამაყოა ჩვენთვის, რადგან მსოფლიოს მკლავჭიდის ვარსკვლავებს და ლეგენდებს შორის არის ჩვენი ***18 წლის ბაჩო საგინაშვილი.*** ასეთი პატარა ასაკის, ასეთ დონეზე, ჯერ არავინ ყოფილა. ალბათ ასეთმა წარმატებებმა განაპირობა, რომ დღეს 50-ზე მეტი სპორტსმენი გვყავს, თითქმის ყველა სოფლიდან. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ასევე გამოვარჩევთ **ნუგზარ ჭიკაძეს** – მსოფლიოს და ევროპის არაერთგზის ჩემპიონს. კიდევ ***არაერთს შევმატებთ*** ძალიან მალე.

წლევანდელ საქართველოს ჩემპიონატზე ჩვენმა 13-მა სპორტსმენმა გაიმარჯვა და მოიპოვა ევროპის ლიცენზია ჭაბუკებში, ახაგაზრდებსა და დიდებში. რომლებიც 9-18 ივნისს მოლდოვაში ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს, სადაც ნაკრების შემადგენლობაში ნახევარი ჩვენი ბიჭები არიან.

P.S. მოლდოვაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე 9 ივნისის მონაცემებით პირველ დღე ჩვენი მემარცხენე მკლავჭიდელებიდან ორი ოქრო და 1 ბრინჯაო მოიპოვა – 90+ კგ წონით კატეგორიაში ოთარ საგინაშვილმა, 70კგ-ში ბაჩო დიღმელაშვილმა, ხოლო 90+ – ვალერი კერატიშვილმა.

საექიმო ამბულატორია

თემის 2700 კაცის ჯანმრთელობას ოჯახის ექიმები ***ბელა დუჩიძე და ლიანა შოთაძე*** ემსახურება. საექიმო ამბულატორია აღჭურვილია საჭირო თანამედროვე ინვენტარით და აქ ყველა პირობაა შექმნილი მოსახლეობის ნორმალური სამედიცინო მომსახურებისათვის.

წინაპართა ნაკვალევზე

თაობა, რომელიც სამშობლოსათვის თავს უყოყმანოდ გაწირავს

რედაქციის კარი მოკრძალებით, მაგრამ რაღაცნაირად ლამაზად აფოფინებული თვალებით შემოხსნა საგარეჯოს III საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგმა **ქეთევან ჭიაბერაშვილმა.** ხელში საქაღალდე უჭირავს. უკვე ვხვდები, თავისი მოსწავლეების წარმატებით არის გახარებული, იქნებ გაამაყებულიც... დიახ, ხშირად, ძალიან ხშირად მისი მოსწავლეები ისეთი აქტივობების მოთავეები, ინიციატორები და წამყვანები არიან, ბევრი ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგი რომ ვერ დაიკვეხნის.

მაგრამ, არა, ამჯერად წერილები, ბრძოლის ქარცეცხლიდან „გამოგზავნილი“ ბარათები მოიტანა ქეთი მასწავლებელმა. დიახ, მისი მეცხრეკლესელების ნამუშევრები, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძმობის „შეფიცულების“, რომლებსაც თითქოს ტყვიის, სისხლის, კვამლის, ცრემლის, მონატრების და სამშობლოსათვის გულანთებული უბრალო მებრძოლების, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, თანაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მებრძოლის სუნი, სურნელი ახლავს. ზოგს „მეტი“ დამაჯერებლობისათვის ფურცელზე ცეცხლის კვალიც დაუმჩნევია.

ვკითხულობთ და ყელში ბურთი გვეჩხირება – სიამაყის, სამშობლოს მტრის სიძულვილის და რწმენის – ჩვენს გვერდით არიან შვილები, რომლებიც უყოყმანოდ თავს გასწირავენ სამშობლოსათვის.

საგნობრივი, კომპლექსური დავალება მოსწავლეებისათვის, ერთი შეხედვით უბრალოა, მეცხრეკლასელმა უნდა წარმოადგინოს, რომ არის 1924 წლის აგვისტოს ომის მონაწილე, აჯანყება დამარცხდა, გადარჩენილმა შეფიცულებმა ტყეს შეაფარეს თავი და ოჯახის წევრებს წერს წერილს, ყველა წერილიერთნაირად იწყება, შემდეგ კი თავისი აზრი, მიზანი უნდა გამოხატოს.

მაშ ასე, დავიწყოთ:

როცა ამ მწერილს გწერთ, ჩვენი ბრძოლა უკვე დასრულებულია. არ ვიცი, როგორ გადავრჩი. მძიმედ ვარ დაშავებული, მაგრამ თავს ძალას ვატან, რომ არ დავეცე, დავეხმარო ჩემს მებრძოლ მეგობრებს, თუმცაღა ასეთი მებრძოლიც ცოტაღა დაგვრჩა. ეს წრილი შესაძლოა ბოლო იყოს, რასაც ჩემგან მიიღებთ, რადგან ჩვენ არ ვაპირებთ უკან დახევას და მათთვის თავის დაკვრას. ჩვენ ვიბრძოლებთ უფრო კარგად და უფრო შიშით. შიშით იმით, რომ მეტი მსხვერპლი არ გვყავდეს. ჩვენ კარგად გავთვლით თითოეულ მათ ნაბიჯს და არ მივცემთ უფლებას გამარჯვების.

ჩემთან ერთად იქნებიან შეფიცულები და ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ჩვენ დავიცავთ საკუთარ სამშობლოს საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი.

მიყვარხართ!

ივანიშვილი სოსო.

1924 წ.

* * *

როცა ამ წერილს გწერ, ჩვენი ბრძოლა უკვე დასრულებულია, ჩემი მეგობრები კი ცოცხლები აღარ არიან . არ ვიცი, როგორ გადავრჩი. მძიმედ ვარ დაჭრილი. ჩემს გვერდით მხოლოდ რამდენიმე შეფიცულია. ეს წერილი შეიძლება ბოლო იყოს, რასაც ჩემგან მიიღებთ, რადგან მე უკან დახევა არ მჩვევია და ბრძოლას სამშობლოსათვის სისხლის ბოლო წვეთამდე განვაგრძობ. ჩემს გვერდით იქნებიან გადარჩენილი შეფიცულები და ქაქუცა, რომელიც ჩვენთან ერთად დაიცავს სამშობლოს. შემდეგი აჯანყება, რომელსაც აუცილებლად მოვაწყობთ, ჭადრაკივით იქნება, ბევრი ტაქტიკური სვლით. გამარჯვების შემთხვევაში თქვენთან დავბრუნდები და თუ ვერ გადავრჩი, იცოდეთ, რომ ღირსეულად დავიღუპე.

ძვირფასო დედა, იცოდე, რომ ვკვდები, ვკვდები სამშობლოსათვის, თქვენი კეთილდღეობისათვის.\

მიყვარხართ!

ნიკა თავშავაძე

1924წ.

* * *

მე ქაქუცა ჩოლოყაშვილი ვარ. რა ვიცი, იქნებ შემდეგ ისეთი დრო მოვიდეს, რომ ხალხმა ჩემით იამაყოს. მე პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ვარ. მე ვიბრძოდი ჩემი პატარა სამშობლოსათვის, რადგან არ მინდოდა, რომ სხვისთვის დამეთმო. ასევე, დამაჯილდოვეს ოქროს ხმლით. ძვირფასო მშობლებო, რა თქმა უნდა თქვენ ამის შესახებ შეხსენება არ გჭირდებათ, მაგრამ ვინ იცის ამ წერილმა თქვენამდე თუ მოაღწია, იქნებ მომავალი თაობისთვის ისტორიულ წყაროდ იქცეს. 1924 წლის აგვისტოა. დიდი იმედი გვქონდა, ბოლო წუთამდე გვეგონა, რომ ამ აჯანყებაში გავიმარჯვოთ, მაგრამ ამაოდ. სამწუხაროდ, დავმარცხდით. მე გადავრჩი, მაგრამ დიდი იყო მსხვეპლი. „შეფიცულებთან“ ერთად ტყეს შევაფარე თავი. მოგიყვებით ცოტას ამ აჯანყების შესახებ. ჩვენი მიზანი იყო საქართველო გაგვენთავისუფლებინა საბჭოთა ოკუპაციისგან. აჯანყების ხელმძღვანელი ვიყავი მე. 24 აგვისტოს დავიკავეთ ქალაქი ახალსენაკი. დავაპატიმრეთ 300-მდე ბოლშევიკი. ჩვენს ხელში იყო სოფლები: ზემო ჭალადიდი, ძველი სენაკი, სუჯუნა და სხვა... სენაკის კონტროლი 1 სექტემბრამდე შევძელით. დავმარცხდით, რადგან დაგვაკლდა იარაღი და მთელი გულით გვჯეროდა, რომ ევროპის ქვეყნები დაგვეხმარებოდნენ. ამ აჯანყებამ უამრავი პატრიოტი ქართველი შეიწირა. აჯანყებასთან დაკავშირებით მეტს აღარ ვისაუბრებ, რადგან, როდესაც მახსენდება, გული ძალიან მტკივა. ძვირფასო მშობლებო, ძალიან მენატრებით. არ ვიცი, კიდევ შევძლებ თუ არა თქვენს ნახვას. ისიც კი არ ვიცი, ეს წერილი თქვენამდე მოაღწევს თუ არა. თავის ქება არ მიყვარს, მაგრამ თუ თქვენს საყვარელ შვილს რაიმე მოუვიდა, ანუ მან სამშობლოსთვის გაწირა თავი. არ ვიცი, როგორ განვაგრძობ ცხოვრებას, ალბათ ემიგრაციაში წავალ, იქნებ იქ მაინც დავიწყო ახალი და მშვიდი ცხოვრება.

ყოველთვის გახსოვდეთ, რომ მე თუ სამშობლოსთვის თავი გავწირე არ იტიროთ. მე გმირი გამოვდივარ და უნდა იამაყოთ და თუ მოვკვდი, ღირსი ვიქნები, რომ ჩემი საფლავის ქვაზე ეწეროს სიტყვები: მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი, სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს...

ნინო ალექსაშვილი.

ეცადე ჩუმად წაიკითხო

როცა ამ წერილს გწერ, ჩვენი ბრძოლა უკვე დასრულებულია. ჩემი მეგობრები კი ცოცხლები აღარ არიან. არ ვიცი, როგორ გადავრჩი. დილით გამეღვიძა და ტყეში ვიყავი სულ მარტოდ მარტო. ნერვიული სიცილი ამიტყდა, როცა მივხვდი, რომ ცოცხალი ვიყავი. გასაოცარია, მაგრამ საჭირო ნივთები ჩემს გვერდით ელაგა,

ვიღაცას საგულდაგულოდ გაუსწორებია და ჩემს გვერდით დაედო. ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურებ, მაგრამ არა, ახლა ამის დრო არ იყო, რადგან მე გადავრჩი.

ვცდილობ გავიხსენო, რა მოხდა, როგორ მოვხვდი აქ და სად არიან ჩემი მეგობრები, მაგრამ ამაოდ. ვფიქრობ, ვფიქრობ და ამ ფიქრში გადის საათები, წუთები... უკვე მოსაღამოვდა, მაგრამ რაიმე ხელჩასაჭიდიც კი არ გამაჩნია. უცბათ მახსენდება „შეფიცულების“ საიდუმლო. მაშინვე ცეცხლს ვანთებ და ველოდები, თუ როდის გავიგონებ ნაცნობ ხმებს. დიდი ლოდინის მერე უცნობი გამოჩნდა, რომელსაც აქამდე არასოდეს შევხვედრილვარ, მაგრამ მისთვის ეჭვის თვალით არ შემიხედავს, რადგან იგი ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამოგზავნილი იყო. ხელში წერილი ეჭირა. წერილს ვკითხულობ და ადგილზე ვქვავდები. „აჯანყება დამარცხდა“, ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ მძულს ჩემი სიცოცხლე, თავის შეკავება მიჭირს, რომ არ ავტირდე, მაგრამ კითხვას ვაგრძელებ და ვხვდები, თუ რას მთავაზობს ჩოლოყაშვილი.

ის ახლიდან აპირებს აჯანყებას და მთავაზობს დავთანხმდე მის წინადადებას. როგორც წერილიდან ჩანს, აჯანყების დაგეგმვას და მის განხორციელებას წლები სჭირდება, მაგრამ მთავარი ხომ რწმენაა. მე ბრძოლას გავაგრძელებ! აჯანყების სავარაუდო თარიღი 1937 წელია, მანამდე კი თანამზრახველების შეგროვება და მათი შემზადებაა საჭირო, რაც ძალიან რთულია, რადგან ხალხში შიში მძვინვარებს და მათი დამარცხება შეუძლებლადაც მიმაჩნია.

წერილის წაკითხვის შემდეგ ბრძოლის და არა დანებების სტიმული მომეცა, თუმცა ვიაზრებ, კიდევ რამდენ დანაკარგს მოგვიტანს აჯანყება და გული მტკივა და მეკუმშება.

ცოტა დრო მაქვს და ბევრს ვერაფერს მოგწერთ, მაგრამ იმედი არ დაკარგოთ. ეს დასასრულის დასაწყისია.

მარიამ მათიაშვილი

* * *

როცა ამ წერილს გწერ, ჩვენი ბრძოლა უკვე დასრულებულია. ჩემი მეგობრები კი ცოცხლები აღარ არიან. არ ვიცი, როგორ გადავრჩე. იმედი მაქვს, ეს წერილი თქვენამდე მოვა. მე და ჩემმა შეფიცულებმა გადავწყვიტეთ ბრძოლა ისევ გავაგრძელოთ სამშობლოს დავეხმაროთ და სამშობლოს გამო სისხლის ბოლო წვეთებამდე ვიბრძოლოთ. ნახვამდის,!*ბიორგი ურდულაშვილი*

ინფრასტრუქტურა-2023

საბავშვო ბაღის ახალი შენობა

სოფელ იორმუღანლოში, კომპანია “სოკარ ჯორჯიას” და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი პროექტით ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. ადაპტირებული საადმზრდელო დაწესებულება 160 ბავშვზეა გათვლილი.

“Sokar Georgia” şirkəti və Saqareco bələdiyyəsinin meriyasının birgə layihəsi əsasında Yormuqanlo kəndində yeni uşaq bağçası tikilir. Təhsil müəssisəsi 160 uşaq üçün nəzərdə tutulub. Bina həmçinin sağlamlıq imkanları məhdud uşaqlar üçün də uyğunlaşdırılacaq.

სპორტი

ფეხბურთი

გარეჯი 8 ქულით დაწინაურდა

როგორც უკვე ვწერდით წინა ნომერში, „გარეჯი-1960“ მეორე ლიგის გათამაშების ლიდერია და ქულების სოლიდური ოდენობით უსწრებს მდევრებს.

31 მაისს ჩვენი გუნდი ხობში ჩავიდა იმ დროისათვის მეორეადგილოსან ადგილობრივ „კოლხეთთან“ შესახვედრად და არც ამჯერად შეირცხვინა თავი. თამაში კი მართლაც დაძაბული გამოდგა. ანგარიში გარეჯელებმა უკვე მე-20 წუთზე გახსნეს. გოლი ბექა გაბესკირიამ ლევან პაპავას პასის წყალობით გაიტანა.

ხობელებმა ანგარიშის გათანაბრება პირველი ტაიმის მეორე დამატებულ წუთზე შეძლეს. გოლი გიგა ამბროლიძემ გაიტანა.

ხობელებმა მეორე ტაიმში, 70-ე წუთზე წინ გასვლაც მოახერხეს ოთარ ტორაძის გოლით. თუმცა მასპინძლებმა მალე დანაკარგიც განიცადეს – მეორე ყვითელი ბარათის გამო მოედნიდან გიგა წურწუმია მსაჯმა კვირიკაშვილმა გააძევა.

82-ე წუთზე კი ლევან პაპავამ ანგარიში გაათანაბრა – 2:2 და მატჩიც ასეთივე ანგარიშით დასრულდა.

4 ივნისს კი გარეჯელებს კიდევ ერთი გასვლითი შეხვედრა ჰქონდათ თბილისის „ვიტჯორჯიასთან“. პირველი ტაიმი უშედეგოდ 0:0 დასრულდა. მეორე ტაიმის დასაწყისში, თამაშის 52-ე წუთზე გარეჯელები თბილისელი ლუკა ბეროზაშვილის ავტოგოლის წყალობით დაწინაურდნენ. 69-ე წუთზე კი ფილიპე პაიმმა პაპუნა ფონიავას პასით ორამდე გაზარდა ანგარიში, ნიკოლოზ გალახვარიძემ 83-ე წუთზე მესამე გოლი გაიტანა და ანგარიში 3:0 გახდა. ამის შედეგად „გარეჯი-1960“-მა ინტერვალმა მდევრებთან უკვე 11 ქულა შეადგინა.

თუმცა წაუგებელი სერია როცა იქნება მთავრდება, ამჯერად ეს მე-18 ტურში მოხდა, როცა „გარეჯი-1960-მა საკუთარ მოედანზე „კოლხეთი-1913“ მიიღო. ყველაფერი ნორმალურად იყო 67-ე წუთამდე, როცა მასპინძელთა მცველმა ლაშა უგრეხელიძემ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და მეტოქეც წინ გავიდა 1:0. ამ მატჩის შემდეგ ლიგა-2-ში არდადეგებია, რომელიც აგვისტომდე გაგრძელდება. „გარეჯი“ კი კვლავ ლიდერია და უახლოეს მეტოქეს – „კოლხეთი-1913“-ს 8 ქულით უსწრებს.

ზურაბ აგულაშვილი

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

გიორგიწმინდის თემი

დასასრული

გიორგიწმინდის სკოლამდელი აღზრდის ახალი დაწესებულების მშენებლობა ჯერ კიდევ 1970 წელს დაიწყო და იქ სწავლა-აღზრდის პროცესის ათვლა – 1972 წლის 1 სექტემბრიდან.. 1972 წელს აქ 2 სააღმზრდელო ჯგუფი მუშაობდა, 1974 წლიდან კი უკვე 6 ჯგუფი.

დღეს შენობაში 4 სააღმზრდელო ჯგუფია – 66 აღსაზრდელით. აქედან გიორგიწმინდის თემის სოფელ ანთოკიდან 4 აღსაზრდელია. სკოლაში პირველი კლასის კარებს ახალ სასწავლო წელს, სექტემბერში 23 აღსაზრდელი შეხსნის.

საბავშვო ბაღის მენეჯერია **ნაზი ჯამალაშვილი,** რომელმაც 1971 წლიდან დაიწყო ამავე ბაღში აღმზრდელად მუშაობა და ერთი წლის შემდეგ, 1972 წლიდან უკვე დაწესებულების ახალ შენობაში საბავშვო ბაღის გამგედ განაგრძო საქმიანობა. 1984 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ მინიჭებული აქვს წარჩინებული მასწავლებლის წოდება.



დაწესებულებაში მოქმედი 4 სააღმზრდელო ჯგუფის 66 აღსაზრდელის აღზრდას *აღზრდელები*: **თამარ როსტომაშვილი, ია ალექსაშვილი, ლუიზა ორკოშნელი, თამარ სუხიაშვილი,** *აღმზრდელის თანაშემწეები*: **დალი კავთუაშვილი, თამარ კაკუტაშვილი, ნინო დიღმელაშვილი, ლეილა ხვთისავრიშვილი, ქეთი ჯამალაშვილი,** *მეთოდისტი* **ნინო ჯიაბერაშვილი,** *ლოგოპედი* **ქეთი კოხტაშვილი,** *ფსიქოლოგი* – **თინა მარიდაშვილი,** *მუსიკის მასწავლებელი* **ნათია მარიდაშვილი,** *მედდა* **ნათია ბეშიტაშვილი,** *მზარეულები*: **ია ოძრომჯედლიშვილი, მარეხი ოსკანოვი,** *მეეზოვე* **ქეთი შაეტიშვილი**

ემსახურება.

ბოლო წლებში დაწესებულების შენობას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. აქ შესანიშნავი გარემოა შექმნილი ბავშვის აღზრდა-განვითარებისათვის.

აქ არსებული სათამაშო და სამეცადინო ცენტრები, რომლებიც შესაბამისი სათამაშოებითა და სასწავლო ნივთებითაა აღჭურვილი, ხელს უწყობს ბავშვის სკოლისათვის სრულყოფილად მომზადებას.

უახლოეს მომავალში დაწესებულების თანამშრომლები ეზოს სპორტული და სათამაშო დანადგარებით კეთილმოწყობას ელოდებიან.

დაწესებულების მენეჯერმა ქ-ნ-მა ნაზი ჯამალაშვილმა საუბრისას გვთხოვა, დაწესებულების თანამშრომლების, აღსაზრდელების, მათი მშობლების სახელით გაზეთის საშუალებით *მადლობა გამოვუცხადოთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს* **ავთანდილ ბულიკაშვილს,** *მოადგილეებს* **ემზარ კუჭუაშვილს, გიორგი ლალიაშვილს,** *საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორს* **ელზა გილაშვილს,** გაერთიანების თანამშრომლებს დაწესებულების ლამაზი გარემოს შექმნისათვის – ახალი სათამაშოებით მომარაგების, სრული კომფორტის შექმნისა და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის.

დაწესებულების თანამშრომლები ამაყობენ აქ აღზრდილი, ამ კედლებში დაფრთიანებული აღზრდილების საქმიანობით. დიახ, აღნიშნულ სააღმზრდელო დაწესებულების კედლებში აღიზარდნენ პედაგოგები, ექიმები, ინჟინრები, მფრინავები, ფერმერები.

ამ დღეებში საბავშვო ბაღის უფროსი ასაკის აღსაზრდელები გიორგიწმინდის საჯარო სკოლას ესტუმრნენ და თავიანთი მომავალი საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი და საერთოდ, სკოლაში სასწავლო გარემო დაათვალიერეს.

ქალაქ საგარეჯოს №5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება

საგარეჯოს მეხუთე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (*მენეჯერი* **მაია კოხტაშვილი**) 1976 წლიდან ემსახურება საგარეჯოელი მომავალი თაობის აღზრდა-განვითარების საპასუხისმგებლო საქმეს. წლების განმავლობაში დაწესებულება ყოფილი საბჭოთის სივრცეში ერთ-ერთი მოწინავე სააღმზრდელო დაწესებულება იყო და საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის მფლობელიც.

აქ, ამ შენობის კედლებში მრავალი თაობის ბავშვი გაიზარდა, დაფრთიანდა და აქაური აღმზრდელებისა და მომსახურე პერსონალის სიყვარული გაჰყვა. დიახ, ამ კედლებში გაიზარდნენ და სკოლისკენ გზა დაულოცეს დღეს მერიის საპასუხისმგებლო პოზიციებზე მყოფ პიროვნებებს: ემზარ კუჭუაშვილს, ლია კოხტაშვილს, ქეთი აზარიაშვილს, ნუგზარ ჭანტურიას, მაიკო დარბაისელს, ოთარ დარბაისელს. ექიმებს: ია გრატიაშვილს, ნანა კოხტაშვილს, ნინო ხუციშვილს, ლინა ქურთიშვილს, მომდერალ ზაზა ჭინჭარაულს, მენტორ მასწავლებელს თამუნა ტოპეშაშვილს, წამყვან და უფროს მასწავლებლებს ლალი და ია თედიაშვილებს, ირმა ივანელაშვილს, ნაზი და ნათია არჩუაძეებს, ეთუნა ივანელაშვილს, ნინო როსტომაშვილს, დალი ოძელაშვილს, ცოცხალი სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორს – ნანა გრატიაშვილს, ბიზნესის ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის მეცნიერებათა დოქტორს ელენე გრატიაშვილს,გარემოს დაცვის დეპარტამენტის ზედამხედველობის სამსახურის მთავარ სპეციალისტს თენგო ივანელაშვილს და სხვებს.

დაწესებულების მენეჯერი მაია კოხტაშვილი 1992 წლიდან 2011 წლამდე ამავე დაწესებულებაში ლოგოპედის პოზიციაზე მუშაობდა, 2011 წლიდან კი მენეჯერის პოზიციაზეა.

ბაღში 3 ჯგუფი ფუნქციონირებს. დარეგისტრირებულია 62 აღსაზრდელი, მათგან ერთი ჯგუფი სასკოლო ასაკის, სკოლისათვის მზაობის ჯგუფია.

აღმზრდელები

სკოლისათვის მზაობის ჯგუფი – **მარინე ძარსაულიძე,** 4-5 წლიანებში – **მერი გზირიშვილი,** ბაგის ასაკში **ლალი ილაური და ზინა ხიბლაშვილი**. აღმზრდელის თანაშემწეები: **დარეჯან ხეგრელაშვილი, თინიკო რევაზიშვილი, ლია კევლიშვილი**; მუსიკის მასწავლებელია **ნუნუ ტაბატაძე**; მეთოდისტია – **ლია ფეიძრიშვილი,** ფსიქოლოგი – **ციცო დათუნაშვილი,** ლოგოპედი – **გუკა გოცირიძე.**

აღსაზრდელების კვებაზე ზრუნავენ *მზარეული* – **მარინა გზირიშვილი,** *მზარეულის თანაშემწე* – **ნატო ხარაიშვილი,** ჭურჭლის მრეცხავი არიან **ლია ბუწაშვილი** და **ელენე სუხიაშვილი,** მეეზოვე **ნათელა ილაური**. დიასახლისები – **ნაირა შაქარაშვილი და ლალი კუპრავა**.

შენობას 4 წლის წინ ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. ამჟამად ელოდებიან ეზოს რეაბილიტაციას და თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აქ საბავშვო ატრაქციონების და სათამაშო სივრცის მოწყობას, ასევე კომპიუტერული ტექნოლოგიებით მომარაგებას, ჯგუფების საჭირო ავეჯით და რესურსით აღჭურვას.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com